

შპს ტყუპები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის

ფინანსური ანგარიშგება

თბილისი 2022 წელი

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს ტყუპები, ს/ნ 400066334 (შემდგომში - საზოგადოება).

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია- 2012 წლის 8 ნოემბერი; დღგ-ს გადამხდელია 2013 წლის 3 იანვრიდან.

საზოგადოების იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, თემქა XI მ/რ, II კვ., კორპ. #40ა, ბინა #8, ფაქტობრივი მისამართი - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-16კმ.

საზოგადოების საბანკო ანგარიშებია: GE14BG000000996858500 GEL;
GE14BG000000996858500 EUR; GE14BG000000996858500 USD.

საზოგადოებას სალარო აპარატი არ გააჩნია.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

- | | | |
|------------------------------|-----------------|-------|
| 1. გია იანვარაშვილი, | ს/ნ 01021015573 | - 33% |
| 2. კონსტანტინე იანვარაშვილი, | ს/ნ 1022002314 | - 34% |
| 3. ანდრია ჭულუხიძე, | ს/ნ 01025015270 | - 33% |

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია - კონსტანტინე იანვარაშვილი, თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 20 კაცს;

საზოგადოების საქმიანობის სფეროს შეადგენს: სატვირთო საგზაო ტრანსპორტი, სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2021 წლის 31 დეკემბერი. ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი-2021 წელი.

ზოგადი დებულებები

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. შეფასების დროს ამ პრინციპებიდან გადახვევის შემთხვევაში, კეთდება განმარტებები ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის. პერიოდულად ხდება ფაქტიური შედეგებისა და მიმდინარე შეფასებების შედარება-განხილვა, საჭიროების მიხედვით განახლება, კორექტირება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებში, როდესაც ამის შესახებ გახდება ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტის - ქართული ლარის გარდა, საზოგადოება საბანკო ტრანზაქციებს ანხორციელებს აშშ დოლარისა და ევრო-ს ანგარიშებით.

საზოგადოებამ მოახდინა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება. კერძოდ, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კურსთაშორის სხვაობიდან მიღებულ ზარალმა შეადგინა- 14726 ლარი (2020 წელს - 15931 ლარი).

საქმიანობის უწყვეტობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია, ასე რომ მოიქცეს. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განავითარონ და გააფაროვნ საზოგადოების მუშაობა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების საშედეგო ცხრილები და წინასაანგარიშგებო 2019-2020 წლების შესადარისი მაჩვენებლები.

კერძოდ:

- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ცხრილი;

შპს ტყუბუბი

საქმიანობის შედეგები (საანგარიშგებო პერიოდი - 2021 წელი) ლარი

შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
ნეტო ამონაგები	3252464	2542625
მ.შ. საქონლის გაყიდვიდან	1658879	1295846
მ.შ. მომსახურების გაწევიდან	1593585	1246779
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1426671	1103101
საერთო მოგება	1825793	1439524
ხელფასი	346555	195625
ადმინისტრაციული ხარჯები	497260	386658
სხვა საოპერაციო ხარჯები	723036	568541
მათშორის		
ავტომობილების საწვავი	429453	353484
საგადასახადო ხარჯი	291332	211799
საკომუნიკაციო ხარჯი (ინტერნეტი)	2251	3258
ბანკების სესხების პროცენტი	123278	232254
საპენსიო ხარჯი	5321	2793
ცვეთა, ამორტიზაცია	147235	110866
საოპერაციო ხარჯი, სულ	1842685	1496737
საოპერაციო მოგება (ზარალი)	-16892	-57213
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	181232	-31185
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	14726	15931
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	198124	31185
არასაოპერაციო ხარჯები		5157
ხარჯები, სულ	3284082	2604995
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	166506	-62370
მოგების გადასახადი	26471	26471
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	140035	-88841

შპს ტყუპები

ფინანსური მდგომარეობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2021 წელი)

ლარი

შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	546918	608518	230409
მ.შ. ბანკი	66129	375804	36269
მ.შ. სალარო	480 789	232714	194140
სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები)	147449	134237	43865
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	40351	125925	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	23257	35812	370
ძირითადი საშუალებები	2 127 822	1951790	1141428
მათ შორის შესყიდული მიწის ნაკვეთის აქტივი			518511
სულ აქტივები	2885797	2856282	1416072
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები კრედიტორების მიმართ	52789	43617	16320
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	34404	777	3424
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2069351	2044975	561120
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		19800	
სულ ვალდებულებები	2156544	2109169	580864
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	747113	835208	689383
გაუნაწილებელი მოგება	140035	69800	145825
კაპიტალის შემცირება დამფუძნებელთა მოთხოვნის ხარჯზე	157895	157895	
სულ საკუთარი კაპიტალი	729253	747113	835208
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2885797	2856282	1416072

შპს ტყუპები

ფულადი სახსრების მოძრაობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2021 წელი) ლარი

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	324737	-209280
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-221031	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-150580	587389
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-46874	378109
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-14726	91626
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	608518	230409
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	546918	608518

განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარსს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი. ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

აქტივები

საზოგადოება აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად ფორმირებულ აქტივებს – რესურსებს, რის საფუძველზეც იღებს და მომავალშიც მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

აქტივების მოცულობა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფიქსირდა 2885797 ლარის დონეზე, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 29515 ლარით, მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა 2019 წელთან შედარებით - 1469725 ლარი. აქტივების მოცულობაში ძირითადი ადგილი უჭირავთ ფულად სახსრებს და ძირითად საშუალებებს.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე. ფულადი სახსრები, როგორც მაღალლიკვიდური ინვესტიციები, საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო 2021 წელს ხასიათდება ცვლილების არაარსებითი რისკით და საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების წყაროა საქონლის რეალიზაცია და მომსახურება. სამეურნეო ოპერაციებს საზოგადოება ახდენს ქვეყნის შიგნით, ამის გამო, მოთხოვნებისა და ვალდებულებების მომსახურების პროცესში, საზოგადოება არ სარგებლობს უცხოურ ვალუტაში ოპერაციებით. ამასთან, საზოგადოებას საბანკო სესხები ბანკებიდან აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში და ვალუტების კურსების ცვლილება ლართან მიმართებაში, გავლენას ახდენს მის საფინანსო მდგომარეობაზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების მოცულობა (ბანკები და სალარო) საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის შეადგენს 546918 ლარს.

ძირითადი საშუალებები

საზოგადოების ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასება საზოგადოებაში არ განხორციელებულა.

აქტივის თვითღირებულებაა გარიგების ფასი აქტივის შესყიდვის დროს (გადახდილი თანხა). თვითღირებულება მოიცავს ასევე ამ აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. აღიარება ხდება შესყიდვის დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ანგარიში ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების ნარჩენ საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 2 127 822 ლარი, წინა წელთან შედარებით (1 951 790 ლარი) მატებამ 9% შეადგინა.

ვალდებულებები

საზოგადოებას აქვს ვალდებულებები წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. ასეთი ვალდებულებები (კრედიტორული) მოცემულია ხარჯის სახით, რაც წარმოადგენს მიღებული სერვისის ან პროდუქციის ასანაზღაურებელ თანხას.

კრედიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადაც ერთ წელზე მეტია, აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მოცულობამ საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის შეადგინა 2069351

ლარი. აღებული სესხების ხარჯზე საზოგადოებამ შეისყიდა სპეციალური ავტომანქანები,

ბეტონშიდები, მათ შორის სპეციალური ავტომანქანა MERCEDES-BENZ 3340 K. გარდა

აღნიშნულისა, 2019 წელს ბაკის სესხის ხარჯზე, სპეციალური ავტომანქანების დისლოკაციისა

და საწარმოო მიზნებისთვის, შეისყიდა მიწის ნაკვეთი, რომლის საწყის საბალანსო

ღირებულებამ შეადგინა 500 000 ლარი. საზოგადოების მესაკუთრეებზე გაიცა 157895 ლარი

დივიდენდების სახით.

შემოსავალი

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ მის მიღებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

საზოგადოებაში ფიქსირდება ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. აქტივების შემოდინების ან ვალდებულებების შემცირების ხარჯზე. 2021 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა საწარმოს საოპერაციო შემოსავლები 27,9 %-ით, 709839 ლარით და შეადგინა 3252464 ლარი.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის.

წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საზოგადოების საქმიანობის შედეგი.

შედეგებში აისახა მთლიანი, როგორც საოპერაციო, ისე არასაოპერაციო ხარჯების მოცულობები. ხარჯების მოცულობამ შეადგინა 3284082 ლარი, მათ შორის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -1426671 ლარი.

მოგება, მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან შეადგენს 166506 ლარს.

ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებში.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ტყუპების წარმოდგენილი 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია, საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების 2022 წლის 12 სექტემბრის საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილებით.

ქ. იახვია